ა(ა)იპ „ქალთა ასოციაცია 2016“

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 23 მარტი, 2016 წ.

პრეამბულა

კულტურისა და განათლების სფეროების განვითარებისა და ამ სფეროებში მოღვაწე ადამიანთა ხელშესაწყობად ერთობლივი პროექტების პრაქტიკული განხორციელების მიზნით ა(ა)იპ „ქალთა ასოციაცია 2016“ და სსიპ - ბათუმის ხელოვნებიოს სასწავლო უნივერსიტეტი თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით საკითხებში.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედი სტუდენტი-ახალგაზრდობის (მუსიკოსების, მსახიობების, მხატვარ-დიზაინერების, ფოტო-ხელოვანების და სხვა) შემოქმედებით ზრდას, მათ სწავლასა და საქმიანობას;
- ერთობლივი კულტურულ-შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას;
- სათანადო ინფორმაციების მიწოდება-გაცვლას, კონფერენციებისა და შეხვედრების დაგეგმვა-ორგანიზებას;
- ურთიერთთანამშრომლობის სხვა ფორმებს, მხარეთა შეთანხმებისამებრ.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ საქმიანობას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელების და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.
1.2. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით, საგანმანათლებლო და სანახაობით - საკონცერტო პროექტებს.
1.3. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში კულტურის პოლიტიკის, ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარებაში.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არ არის განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3.ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

ა(ა) იპ „ქალთა ასოციაცია 2016"-ის
თავმჯდომარე **დ. ჯაფარიძე**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ე. მესხია**